თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია

ოზონის შრის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ქ. თბილისი, 30 ნოემბერი - 1 დეკემბერი 2012წ.

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ კონფერენციაზე **„ოზონის შრის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“**, რომელიც გაიმართება ქ. თბილისში 2012 წლის 30 ნოემბერი - 1 დეკემბერს. კონფერენციას უმასპინძლებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ზოგადი ინფორმაცია:

ოზონის შრე წარმოადგენს ბუნებრივ ეკრანს და იცავს დედამიწას და მთელ ბიოსფეროს მზის ულტრაიისფერი გამოსხივების (UV) მავნე ზემოქმედებისაგან. შეშფოთება ოზონის შრის გათხელების თაობაზე მეცნიერებმა პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოთქვეს. სამმა ქიმიკოსმა, რომლებსაც მოგვიანებით, ნობელის პრემიაც მიენიჭათ, დაადგინა, რომ ოზონის შრეს სერიოზულ ზიანს აყენებს დედამიწიდან ატმოსფეროში მოხვედრილი ანთროპოგენული აირები, რომელიც გამოიყოფოდა ადამიანის აქტიური მოღვაწეობის ბევრ სფეროში.

მსოფლიო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის შედეგად მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებები, როგორიც არის ვენის კონვენცია “ოზონის შრის დაცვის შესახებ” (1985 წელი), მონრეალის ოქმი „ოზონდამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების შესახებ” (1987 წელი) და კიოტოს ოქმი „კლიმატის ცვლილების შესახებ” (1997 წელი).

კონფერენცია „ოზონის შრის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ ტარდება პროექტის „მონრეალის ოქმის განხორციელების მხარდამჭერი ქმედებები საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის მხარდაჭერით, ხოლო განმახორციელებელ სააგენტოებს წარმოადგენენ გარემოს დაცვის სამინისტრო და გაეროს განვითარების პროგრამა. მონრეალის ოქმის მე–5 მუხლის ქვეყნებიდან აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის სტუდენტთა მონაწილეობას კონფერენციაში უზრუნველყოფს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს

ღონისძიების ორგანიზატორები:

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ოზონის ეროვნული ჯგუფი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაეროს განვითარების პროგრამა
გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა

კონფერენციის თემატიკა:

- ოზონის შრის მნიშვნელობა. მისი დაშლის მიზეზები და შედეგები.
- ოზონდამშლელი ნივთიერებების რეგულირება. საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა.
- ოზონდამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების სტრატეგიები. შეგროვება, რეციკლირება, განადგურება.
- ოზონდამშლელი ნივთიერებებიდან ოზონუსაფრთხო ალტერნატივებზე გადასვლის სოციალური ასპექტები.
- მონრეალის ოქმი და კლიმატის ცვლილება.

ზემოხსენებული საკითხები არ ზღუდავს ოზონის შრესთან დაკავშირებულ სხვა ეკოლოგიურ თემატიკას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს კონფერენციაზე გასატანად.

კონფერენციის სამუშაო ენა: ინგლისური

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა **2012 წლის 30 ოქტომბრამდე** უნდა გამოაგზავნონ მოხსენების რეზიუმე **ინგლისურ ენაზე.**

რეზიუმეს გასაფორმებლად საჭირო მოთხოვნები:

სტატიის სათაური: შრიფტი 12, მუქი;

ავტორის ან ავტორთა გვარი; ინიციალები; ორგანიზაციის დასახელება; ელ. ფოსტის მისამართი: შრიფტი 10, დახრილი;

ტექსტი MS Word-ში, შრიფტი ტექსტისთვის Times New Roman, ზომა - 11;

სტრიქონებს შორის ინტერვალი 1, აბზაცი 1 სმ

რეზიუმე არაუმეტეს 350 სიტყვისა, 4-6 საკვანძო სიტყვა.

კონფერენციაში მონაწილეთა თეზისები გამოქვეყნდება კრებულის სახით.

კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატები, ხოლო 3 საუკეთესო მოხსენების ავტორი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრებით.

მნიშვნელოვანი თარიღები:

30 ოქტომბერი, 2012	რეზიუმეს წარმოდგენის ბოლო ვადა
7 ნოემბერი, 2012	კონფერენციაში მონაწილეობის დადასტურება
15 ნოემბერი, 2012	სრული სტატიის წარმოდგენის ბოლო ვადა
30 ნოემბერი-**1** დეკემბერი, 2012	კონფერენცია

რეგისტრაცია:

რეზიუმე და შევსებული ანკეტა, მონაწილეობის დადასტურების შემდეგ კი სტატია წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული სახით კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ელ-ფოსტაზე: ozon.conference2012@tsu.ge

მასალების მიღების დასტური ნიშნავს კონფერენციაში თქვენს მონაწილეობას.

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს:

პროექტის მენეჯერი: Dr. სულხან სულაძე მონრეალის ოქმის განხორციელების ხელშემწყობი ქმედებები საქართველოში კახეთის გზატკეცილი 21 0190, თბილისი, საქართველო ტელ.: +995 5 99 23 18 32, ფაქსი: +995 32 2222 473 ელ-ფოსტა: sulkhan.suladze@undp.org	თანაშემწე: Dr. ლელა კვინიკაძე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჭავჭავაძის გამზ. 1 0179, თბილისი, საქართველო ტელ.: +995 5 77 5353 78, ფაქსი: +995 32 2222 473 ელ-ფოსტა: lela.kvinikadze@tsu.ge